

შპს ლიბო გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3-5
--------------------------------------	-----

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	9

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	21
4. ახალი ფას-ების მიღება	22
5. რეკლასიფიკაცია	22
6. ძირითადი საშუალებები	23
7. საინვესტიციო ქონება.....	24
8. გუდვილი.....	24
9. მარაგები.....	24
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	25
13. სესხები	25
14. შემოსავალი	25
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	25
16. რეალიზაციის ხარჯები.....	26
17. ადმინისტრაციული ხარჯები	26
18. ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	26
19. ფინანსური რისკის მართვა	27
20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	30
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლიბო გრუპის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ლიბო გრუპის“ და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დაგვინიშნეს 2020 წლის 8 მაისს. შესაბამისად, ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ფიზიკური ინვენტარიზაციის პროცესს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღისთვის აღრიცხული თუ აღურიცხავი მარაგების ნაშთის სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 4,089,703 ლარის ოდენობით. ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ დავადგინეთ აუცილებელი იქნებოდა თუ არა კორექტირებების შეტანა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

2019 წლის განმავლობაში გარკვეული მომწოდებლებისგან შეძენილ მარაგებზე ღირებულება შემცირებულია მიღებული ფასდაკლებით, რომელიც ჯგუფის აღრიცხვით შეადგენს 4,199,425 ლარს. მარაგის მაღალი ბრუნვის სიხშირის გამო, ფასდაკლება ძირითადად წარმოდგენილია გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შეთანხმება, რომელიც მოიცავს აღნიშნული ფასდაკლების დათვლის მეთოდოლოგიას და ვერც მესამე მხარისაგან მივიღეთ დასტური 2019 წლის ფასდაკლების თაობაზე. შესაბამისად ვერ შევძელით მოგვეპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული ფასდაკლების თაობაზე და ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იქნებოდა თუ არა კორექტირებების შეტანა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ასევე ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

ჩვენ არ მიგვიღია მესამე მხარის დასტურის წერილები გარკვეული მომწოდებლებისგან და ვერც ალტერნატიული პროცედურებით შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება ჯგუფის სავაჭრო დავალიანების გარკვეული ნაშთის სისწორეზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 1,331,999 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ დავადგინეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს ლიბო გრუპის მიერ შვილობილი საწარმოს შეძენის შედეგად წარმოქმნილ გუდვილს - 2,064,484 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება გუდვილის დათვლასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავადგინეთ გუდვილის ღირებულება შეძენისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 21-ე განმარტებით შენიშვნაზე, სადაც აღწერილია გარემოებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოება

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 30 სექტემბერს გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში შეტანილ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამ კუთხით ჩვენ არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჯგუფის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“ - ს სახელით

2020 წლის 29 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

ასს-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თეი“ - ს სახელით

2020 წლის 29 სექტემბერი

თბილისი, საქართველო



შპს ლიბო გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,552,628	1,453,988
მიწა		5,821,377	7,774,323
საინვესტიციო ქონება	7	404,045	424,194
გუდვილი	8	2,064,484	2,064,484
არამატერიალური აქტივები		16,660	19,684
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,859,194	11,736,673
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		34,593	
გადახდილი ავანსები	10	481,780	298,691
მარაგები	9	4,093,254	3,782,286
სავაჭრო მოთხოვნები	10	4,069,596	2,286,361
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,170,348	249,193
სულ მიმდინარე აქტივები		9,849,571	6,616,531
სულ აქტივები		19,708,765	18,353,204
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება		11,563,638	8,502,873
სულ კაპიტალი		11,564,638	8,503,873
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	13	2,243,723	4,441,717
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,243,723	4,441,717
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხის მიმდინარე ნაწილი	13	3,116,660	3,602,563
სავაჭრო ვალდებულებები	12	2,781,123	1,520,593
გადასახდელი ხელფასები		-	64,898
მიღებული ავანსები		2,621	3,031
საგადასახადო ვალდებულება		-	216,529
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,900,404	5,407,614
სულ ვალდებულებები		8,144,127	9,849,331
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,708,765	18,353,204

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

მარიამ დუდჩავა
დირექტორი

შენიშვნები 10-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს ლიბო გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,552,628	1,453,988
მიწა		5,821,377	7,774,323
საინვესტიციო ქონება	7	404,045	424,194
გუდვილი	8	2,064,484	2,064,484
არამატერიალური აქტივები		16,660	19,684
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,859,194	11,736,673
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		34,593	
გადახდილი ავანსები	10	481,780	298,691
მარაგები	9	4,093,254	3,782,286
სავაჭრო მოთხოვნები	10	4,069,596	2,286,361
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,170,348	249,193
სულ მიმდინარე აქტივები		9,849,571	6,616,531
სულ აქტივები		19,708,765	18,353,204
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება		11,563,638	8,502,873
სულ კაპიტალი		11,564,638	8,503,873
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	13	2,243,723	4,441,717
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,243,723	4,441,717
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხის მიმდინარე ნაწილი	13	3,116,660	3,602,563
სავაჭრო ვალდებულებები	12	2,781,123	1,520,593
გადასახდელი ხელფასები		-	64,898
მიღებული ავანსები		2,621	3,031
საგადასახადო ვალდებულება		-	216,529
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,900,404	5,407,614
სულ ვალდებულებები		8,144,127	9,849,331
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,708,765	18,353,204

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:



შენიშვნები 10-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს ლიბო გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	31,255,121	27,354,777
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	15	(23,886,235)	(21,017,322)
მოგება რეალიზაციიდან		7,368,886	6,337,455
რეალიზაციის ხარჯები	16	(2,215,002)	(2,130,233)
ადმინისტრაციის ხარჯები	17	(2,799,873)	(2,479,010)
საოპერაციო ხარჯები		(84,024)	(59,492)
საოპერაციო მოგება		2,269,987	1,668,720
არასაოპერაციო შემოსავალი		17,180	34,490
საპროცენტო ხარჯი	13	(524,357)	(524,884)
მოგება-ზარალი საკუროსო სხვაობიდან	18	(530,442)	(846,229)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(20,984)	(110,238)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		3,681,393	-
მოგება დაბეგვრამდე		4,892,777	221,859
მოგების გადასახადი		(24,538)	(52,968)
წლის მოგება		4,868,239	168,891
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული სრული შემოსავალი		4,868,239	168,891

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

მარიამ დუდჩავა
დირექტორი

შპს ლიბო გრუპ
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	31,255,121	27,354,777
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	15	(23,886,235)	(21,017,322)
მოგება რეალიზაციიდან		<u>7,368,886</u>	<u>6,337,455</u>
რეალიზაციის ხარჯები	16	(2,215,002)	(2,130,233)
ადმინისტრაციის ხარჯები	17	(2,799,873)	(2,479,010)
საოპერაციო ხარჯები		<u>(84,024)</u>	<u>(59,492)</u>
საოპერაციო მოგება		<u>2,269,987</u>	<u>1,668,720</u>
არასაოპერაციო შემოსავალი		17,180	34,490
საპროცენტო ხარჯი	13	(524,357)	(524,884)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან	18	(530,442)	(846,229)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		<u>(20,984)</u>	<u>(110,238)</u>
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		3,681,393	-
მოგება დაბეგვრამდე		<u>4,892,777</u>	<u>221,859</u>
მოგების გადასახადი		<u>(24,538)</u>	<u>(52,968)</u>
წლის მოგება		<u>4,868,239</u>	<u>168,891</u>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული სრული შემოსავალი		<u>4,868,239</u>	<u>168,891</u>

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29
სექტემბერს:

მარიამ დუდჩავა
დირექტორი



შენიშვნები 10-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს ლიბო გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბერს	1,000	9,976,150	9,977,150
დივიდენდების გაცემა	-	(1,642,168)	(1,642,168)
წმინდა მოგება	-	168,891	168,891
კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბერს	1,000	8,502,873	8,503,873
დივიდენდების გაცემა	-	(1,807,474)	(1,807,474)
წმინდა მოგება	-	4,868,239	4,868,239
კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,000	11,563,638	11,564,638

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

 მარიამ დუდჩავა
 დირექტორი

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბერს	1,000	9,976,150	9,977,150
დივიდენდების გაცემა	-	(1,642,168)	(1,642,168)
წმინდა მოგება	-	168,891	168,891
კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბერს	1,000	8,502,873	8,503,873
დივიდენდების გაცემა	-	(1,807,474)	(1,807,474)
წმინდა მოგება	-	4,868,239	4,868,239
კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,000	11,563,638	11,564,638

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

მარიამ დუდჩავა
დირექტორი



შპს ლიბო გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაგებვრამდე		4,924,777	221,859
კორექტირებები:		-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	16, 17	239,582	188,892
უიმედო მოთხოვნის ხარჯი		126,180	142,904
ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული მოგება		(3,681,393)	-
საპროცენტო ხარჯი		524,357	524,884
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი		530,442	846,229
ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		2,663,945	1,924,768
საგაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება		(1,905,672)	220,384
გაცემული ავანსების ცვლილება		(183,089)	(86,532)
სასაქონლო მატერიალური მარაგების ცვლილება		(310,968)	1,817,959
საგაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება		1,078,569	(372,376)
გადახდილი გადახასადები		(275,660)	76,861
მიღებული ავანსების ცვლილება		-	(181)
გადახდილი პროცენტი		(524,357)	(529,023)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		542,768	3,051,860
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენაში გადახდილი თანხები		(317,318)	(6,575,506)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული თანხები		5,636,608	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		5,319,290	(6,575,506)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება	13	4,980,377	13,374,969
განაწილებული დივიდენდი		(1,839,474)	(1,642,168)
სესხის გადახდა	13	(8,021,716)	(8,009,469)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(4,880,813)	3,723,332
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფული და ფულის ექვივალენტებზე		(60,090)	(116,832)
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		921,155	82,854
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		249,193	166,339
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		1,170,348	249,193

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

მარიამ დუდჩავა
დირექტორი

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაგებვამდე		4,924,777	221,859
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		-	-
უიმედო მოთხოვნის ხარჯი	16, 17	239,582	188,892
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული მოგება		126,180	142,904
საპროცენტო ხარჯი		(3,681,393)	-
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი		524,357	524,884
ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		530,442	846,229
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება		2,663,945	1,924,768
გაცემული ავანსების ცვლილება		(1,905,672)	220,384
სასაქონლო მატერიალური მარაგების ცვლილება		(183,089)	(86,532)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება		(310,968)	1,817,959
გადახდილი გადახასადები		1,078,569	(372,376)
მიღებული ავანსების ცვლილება		(275,660)	76,861
გადახდილი პროცენტი		-	(181)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(524,357)	(529,023)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		542,768	3,051,860
ძირითადი საშუალებების შეძენაში გადახდილი თანხები		(317,318)	(6,575,506)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული თანხები		5,636,608	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		5,319,290	(6,575,506)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება			
განაწილებული დივიდენდი	13	4,980,377	13,374,969
სესხის გადახდა		(1,839,474)	(1,642,168)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	13	(8,021,716)	(8,009,469)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფული და ფულის ექვივალენტებზე		(4,880,813)	3,723,332
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(60,090)	(116,832)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		921,155	82,854
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		249,193	166,339
		1,170,348	249,193

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:


მარიამ დუდიაშვილი
დირექტორი



შენიშვნები 10-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს ლიბო გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ლიბო გრუპ“ (შემდგომში „ჯგუფი“) დაფუძნდა 2007 წლის 16 ნოემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, კომპანიის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მარიამ დუდუჩავა.

ჯგუფის გააჩნია მსხვილი სადისტრიბუციო ქსელი საქართველოს მასშტაბით. დისტრიბუცია ძირითადად მოიცავს პირადი ჰიგიენისა და სარეცხი საშუალებების იმპორტს, ასევე ზავშვთა მოვლის საშუალებებს. ჯგუფის გააჩნია გარკვეული ბრენდების ექსკლუზიური იმპორტის უფლება საქართველოში.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მარიამ დუდუჩავა	34%	34%
ოთარ ზადაგაძე	33%	33%
ლაშა ზადაგაძე	33%	33%

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, II ხეივანი ქ., მე-2 ჩიხი, N21.

შპს ლიბო გრუპ ფლობს შპს იასონის 100% წილს (ერთობლივად - „ჯგუფი“). შვილობილი კომპანია, დაფუძნდა 1996 წლის 22 თებერვალს, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. შვილობილი კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემულ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, ეროვნულ ვალუტაში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ მიმდინარე პანდემიის (COVID-19) გათვალისწინებით (როგორც ეს მოცემულია განმარტებით შენიშვნა 19-ში - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები) არ არის ცნობილი რაიმე სხვა განუსაზღვრელობა რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობას და უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული დაშვებით.

შპს ლიბო გრუპი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფის:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, ჯგუფი ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებულ შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც ჯგუფი იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ ჯგუფიზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

შპს ლიბო გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს გამოყენებულია შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო/ლარი	3.2095	3.0701

შემოსავლის აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) ჯგუფი შესაძლებელს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შესასრულებელ ვალდებულებას შესაძლებელს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

ჯგუფიმ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

• არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და

• ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სხვის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ წმინდა ანაზღაურებასა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება(ზარალის)“ სახით.

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს წრფივი მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. დედა ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის, ხოლო შილობილი ჯგუფი იყენებს შემცირებადი ნაშთის მეთოდს.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)	ნარჩენი ღირებულება/ ისტორიული ღირებულება
შენობა-ნაგებობა	20	0%
სატრანსპორტო საშუალებები	5	0%
ოფისის აღჭურვილობა	5	0%
ავეჯი და ინვენტარი	5	0%
სხვა	5	0%
დაუმთავრებელი მშენებლობა	ცვეთა არ ერიცხება	0%

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა ან შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გამიზნულია საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის და რომელსაც ჯგუფი არ იყენებს. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელშეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ჯგუფის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეცვლით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა შემოსავლის მუხლში.

თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მესაკუთრე, მაშინ ხდება მისი რეკლასიფიცირება ძირითად საშუალებებად და მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიცირების თარიღისთვის ხდება მისი დასაშვები ღირებულება, რომელიც შემდგომში ცვეთას ექვემდებარება.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება აკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნული აქტივის კრიტერიუმებს, მისი გადატანა ხდება გასაყიდად გამიზნული აქტივების კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები, მათი პირველადი აღიარებისას, ფასდება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის სასრული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარდება მოგებაში-ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

გუდვილი

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება გამოითვლება შესყიდვის დღეს სამართლიანი ღირებულებით გადახდილ საფასურს დამატებული შეძენილი კომპანიის ნებისმიერი უმცირესობის წილის მოცულობა. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, ჯგუფი შეძენილი კომპანიის არასაკონტროლო პაკეტს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ან იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის შესაბამისად, ხოლო არასაკონტროლო პაკეტის სხვა კომპონენტებს - მათი შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე და შედის ადმინისტრაციულ ხარჯებში.

გუდვილის თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, და ტოლია წმინდა იდენტიფიცირებადი შეძენილი აქტივებისა და შესყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის. თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ ანაზღაურებაზე, ჯგუფი ხელახლა აფასებს, სწორად შეაფასა თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შეძენის თარიღისთვის ასაღიარებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურას. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება ისევ აჭარბებს მთლიანად გადახდილ საზღაურს, მაშინ შემოსულობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შემდგომი აღიარებისთვის, გუდვილი ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების დადგენის მიზნებისათვის, საწარმოთა გაერთიანებისას წარმოქმნილი გუდვილი შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, ისარგებლებენ გაერთიანებით, განურჩევლად იმისა, აღნიშნულ ბიზნეს ერთეულებს შეძენილი საწარმოს სხვა აქტივები მიეკუთვნება, თუ ვალდებულებები.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, ხელშეკრულება საიჯაროა თუ შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ თვითღირებულებით უნდა აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება შეფასებული იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების პერიოდების გათვალისწინებით თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გააგრძელებს ან ვადაზე ადრე არ შეწყვეტს იჯარას.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე იყენებს მოკლე ვადიან იჯარასთან მიმართებით არსებულ აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარებისგან გათავისუფლების უფლებას და იჯარასთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით (ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით, იმ შემთხვევაში თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს) იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იქნას სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი წარმოდგენილია კლასიფიკაციით - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფიმ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფიმ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფიმ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვ ქვეშ აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება- ზარალში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

საწარმომ ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ამოიღოს, როდესაც ის შესრულებდა - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი აპირებს ანგარიშსწორება განახორციელოს ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდი ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გამოყენებად მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ხარჯების აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი იმ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარდება, რომლის განმავლობაშიც ჯგუფი იღებს მომსახურებას დასაქმებულისაგან.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც ჯგუფის აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა ჯგუფში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი არის აგროსილი თანხის 15% (ანუ წმინდა დივიდენდი უნდა აიგროსოს დასაკავებელი თანხით (დარიცხული დივიდენდის 5%-ით), საჭიროების შემთხვევაში, და შემდეგ გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ საწარმოებზე განაწილების დროს. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგების დივიდენდის სახით გაცემა რეზიდენტ საწარმოებზე არის გათვალისწინებული გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გამოანგარიშებული გადასახდელი მოგების გადასახადი მცირდება ამავე პერიოდების მიხედვით დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხებით (ჩასათვლელი თანხებით), რომელიც არ უნდა აჭარბებდეს გასანაწილებელ დივიდენდზე მოქმედი კანონმდებლობით დარიცხულ მოგების გადასახადს. ჩასათვლელი თანხა გამოანგარიშება გასანაწილებელი დივიდენდის გამრავლებით 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადზე, რომელიც იყოფა 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი წმინდა მოგებისა და ამავე პერიოდის წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდების სანაცვლოდ საწარმოს პარტნიორებზე გაცემულ აქციების/(წილის) ღირებულებას შორის სხვაობაზე. დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში მოგებს გადასახადის ნაცვლად, არასაოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება ჯგუფის წარმოქმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღე მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღე-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღე-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღე აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღე-ს ჩათვლით.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს ჯგუფში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს ჯგუფში ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც ჯგუფის აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი ჯგუფი და არც ერთობლივი საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც ჯგუფი წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული ჯგუფი

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები, ნარჩენი ღირებულება და ფინანსური აქტივების გაუფასურება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეულ გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

შპს ლიბო გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

4. ახალი ფას-ების მიღება

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვიეს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 16 იჯარა
- IFRIC 4 განესაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას
- SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება
- SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას

ჯგუფი გადავიდა ფასს 16-ზე 2019 წლის 1 იანვრის თარიღით. ჯგუფიმ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე, ფასს 16, გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. მოდიფიცირებული მიდგომით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში. კომპანიის შეფასებით ფასს 16-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლას არ აქვს გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე (2019 წლის 1 იანვარი) და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ახალი სტანდარტების დანერგვით გამოწვეულ კორექტირებებს.

სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან ან გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული არ გააჩნიათ გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ან არ შეესაბამება კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკას.

5. რეკლასიფიკაცია

31 დეკემბერი, 2018	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
სხვა რეზერვები და ფინანსება	8,738,197	(235,324)	8,502,873
გაუნაწილებელი მოგება	(235,324)	235,324	-
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	(24,267,278)	3,249,956	(21,017,322)
რეალიზაციის ხარჯები	-	(2,130,233)	(2,130,233)
ადმინისტრაციის ხარჯები	-	(2,479,010)	(2,479,010)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	3,249,956	(3,249,956)	-
საოპერაციო ხარჯები	(1,533,836)	1,474,344	(59,492)
ხელფასის ხარჯი	(2,803,103)	2,803,103	-
ცვეთის ხარჯი	(188,892)	188,892	-
დებიტორული დავალიანების რეზერვი	(142,904)	142,904	-

შპს ლიბო გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	მანქანა დანადგარები	ავიჯი და ინვენტარი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2017	1,789,743	517,545	186,466	639,819	125,194	48,932	32,309	14,888	3,354,896
შემოსვლა	5,984,580	77,591	205,973	190,896	31,747	-	26,147	1,702	6,518,636
გასვლა	-	-	-	(15,000)	-	-	-	-	(15,000)
31 დეკემბერი 2018	7,774,323	595,136	392,439	815,715	156,941	48,932	58,456	16,590	9,858,532
შემოსვლა	-	9,594	54,036	14,700	45,466	-	190,244	3,278	317,318
გასვლა	(1,952,946)	-	-	(8,170)	-	-	-	-	(1,961,116)
31 დეკემბერი 2019	5,821,377	604,730	446,475	822,245	202,407	48,932	248,700	19,868	8,214,734
დაგროვილი ცვეთა									
31 დეკემბერი 2017	-	(11,896)	-	(354,734)	(70,488)	(11,009)	(7,990)	(211)	(456,328)
ცვეთის ხარჯი	-	(31,065)	-	(93,187)	(24,533)	(7,585)	(29,477)	(3,046)	(188,893)
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	15,000	-	-	-	-	15,000
31 დეკემბერი 2018	-	(42,961)	-	(432,921)	(95,021)	(18,594)	(37,467)	(3,257)	(630,221)
ცვეთის ხარჯი	-	(33,586)	-	(109,783)	(30,321)	(6,068)	(33,351)	(3,300)	(216,409)
გასული აქტივის ცვეთა	-	-	-	5,901	-	-	-	-	5,901
31 დეკემბერი 2019	-	(76,547)	-	(536,803)	(125,342)	(24,662)	(70,818)	(6,557)	(840,729)
საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2018	7,774,323	552,175	392,439	382,794	61,920	30,338	20,989	13,333	9,228,311
31 დეკემბერი 2019	5,821,377	528,183	446,475	285,442	77,065	24,270	177,882	13,311	7,374,005

შპს ლიბო გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

7. საინვესტიციო ქონება

ჯგუფის საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს შვილობილი საწარმოს მფლობელობაში არსებული შენობა, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემულია საოპერაციო იჯარის ფარგლებში. ქონება აღრიცხულია ისტორიულ ღირებულებას დაკლებული დაგროვებული ცვეთის თანხით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება შეადგენდა 404,045 ლარს (2018 წლის 31 დეკემბრის 424,194), ხოლო 2019 წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა 20,149 ლარს (2018 წლის ცვეთა: 21,210).

8. გუდვილი

გუდვილი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გუდვილი	2,064,484	2,064,484

9. მარაგები

მარაგები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გასაყიდად განკუთვნილი მარაგები	3,860,757	3,778,818
საქონელი გზაში	228,435	-
საწვავი	4,062	3,468
სულ მარაგები	4,093,254	3,782,286

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	4,408,904	2,499,489
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(339,308)	(213,128)
სულ ფინანსური მოთხოვნები	4,069,596	2,286,361
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	481,780	298,691
სულ არაფინანსური მოთხოვნები	481,780	298,691
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,551,376	2,585,052

	2019	2018
საექვო მოთხოვნების რეზერვი		
საწყისი ნაშთი	(213,128)	(84,053)
პერიოდის დარიცხვა	(126,180)	(129,075)
საბოლოო ნაშთი	(339,308)	(213,128)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული და ფულის ეკვივალენტები		
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	617,059	98,410.00
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	310,314	13,378.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	242,960	136,163.00
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	15	1,242.00
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,170,348	249,193

შპს ლიბო გრუპი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	2,753,010	1,520,593
სხვა ვალდებულება	28,113	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,781,123	1,520,593
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსი	2,621	3,031
სულ არაფინანსური ვალდებულებები	2,621	3,031
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,783,744	1,523,624

დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში შემავალი ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

13. სესხები

მიღებული სესხები	2019	2018
საწყისი ნაშთი	8,044,280	2,105,026
პროცენტის გადახდა	(524,357)	(529,023)
პროცენტის ხარჯი	524,357	524,884
სესხის დაფარვა	(8,021,716)	(8,009,469)
სესხის მიღება	4,980,377	13,374,969
კურსთაშორის სხვაობის შემოსავალი/(ხარჯი)	357,442	577,893
საბოლოო ნაშთი	5,360,383	8,044,280

სს საქართველოს ბანკი	ვალუტა	31.12.2019	31.12.2018
მიმდინარე ნაწილი	ევრო	3,116,660	3,602,563
გრძელვადიანი სესხები	ევრო	2,243,723	4,441,717
		5,360,383	8,044,280

14. შემოსავალი

შემოსავალი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შემოსავალი	2019	2018
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	31,437,037	28,004,203
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(350,753)	(891,987)
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	168,837	242,561
სულ	31,255,121	27,354,777

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2019	2018
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	24,152,865	21,173,055
საქონლის დაბრუნება	(266,630)	(155,733)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	23,886,235	21,017,322

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს: გაყიდული მარაგების შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მათ მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შპს ლიბო გრუპი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

16. რეალიზაციის ხარჯები

გაყიდვის დანახარჯები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

რეალიზაციის ხარჯები	2019	2018
ხელფასის ხარჯი	1,614,748	1,344,637
საწვავის ხარჯი	394,243	333,560
ცვეთის ხარჯი	129,932	114,397
მარკეტინგის ხარჯები	76,079	337,639
სულ რეალიზაციის ხარჯები	2,215,002	2,130,233

17. ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ადმინისტრაციული ხარჯი	2019	2018
ხელფასის ხარჯი	1,624,151	1,458,466
იჯარის ხარჯი	334,298	319,147
საგადასახადო ხარჯი	250,275	127,027
შეკეთების ხარჯი	126,379	107,861
დებიტორული დავალიანების ჩამოწერის ხარჯი	126,180	142,904
ცვეთა და ამორტიზაცია	109,650	74,495
კომუნალური ხარჯი	31,339	26,824
წარმომადგენლობითი ხარჯი	25,276	12,359
საბანკო ხარჯები	24,080	66,926
კონსულტაციის ხარჯები	20,271	57,542
კომუნიკაციის ხარჯი	19,279	17,652
საკანცელარიო ხარჯი	15,078	8,819
დაზღვევის ხარჯი	12,012	-
საოფისე ხარჯი	10,473	14,390
დაცვის მომსახურების ხარჯი	6,769	4,953
სხვა ხარჯები	64,363	39,645
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	2,799,873	2,479,010

18. ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან

2019 წლის საკურსო სხვაობა	შემოსავალი	ხარჯი	ნეტო
სავაჭრო მოთხოვნები	7,797	4,054	3,743
ფული და ფულის ეკვივალენტები	10,111	70,201	(60,090)
სავაჭრო ვალდებულებები	271,069	387,722	(116,653)
სესხის მიმდინარე ნაწილი	813,925	1,171,367	(357,442)
სულ 2019 წლის საკურსო სხვაობა	1,102,902	1,633,344	(530,442)

2018 წლის საკურსო სხვაობა	შემოსავალი	ხარჯი	ნეტო
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,667	126,499	(116,832)
სავაჭრო მოთხოვნები	4,105	6,819	(2,714)
სავაჭრო ვალდებულებები	146,842	295,632	(148,790)
სესხის მიმდინარე ნაწილი	331,029	908,922	(577,893)
სულ 2018 წლის საკურსო სხვაობა	491,643	1,337,872	(846,229)

შპს ლიბო გრუპი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

19. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია ჯგუფის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა და შემდგომ არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენის უზრუნველყოფა. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა. ჯგუფის გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,069,596	2,286,361
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,170,348	249,193
სულ ფინანსური აქტივები	5,239,944	2,535,554
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,781,123	1,520,593
სესხები	5,360,383	8,044,280
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,141,506	9,564,873

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

შპს ლიბო გრუპ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაში ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საკრედიტო რისკი

ჯგუფის შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობით გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკრედიტო რისკი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნა, წმინდა	4,069,596	2,286,361
ფული და ფულის ეკვივალენტები		
მოთხოვნისას გადასახდელი საბანკო ბალანსები	553,274	149,541
სულ	4,554,948	2,421,091

შპს ლიბო გრუპი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მის სასესხო და საკრედიტო ვალდებულებებს

ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

31 დეკემბერი 2019	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	927,373	94,177	148,798	1,170,348
სავაჭრო მოთხოვნები	4,020,405	47,175	2,016	4,069,596
სულ ფინანსური აქტივები	4,947,778	141,352	150,814	5,239,944
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	-	-	5,360,383	5,360,383
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	196,937	1,614,627	969,559	2,781,123
სულ ფინანსური ვალდებულებები	196,937	1,614,627	6,329,942	8,141,506
წმინდა პოზიცია	4,750,841	(1,473,275)	(6,179,128)	(2,901,562)
გავლენა მოგება-ზარალზე				
ვალუტის კურსის 10% ზრდა	-	(147,328)	(617,913)	(765,241)
ვალუტის კურსის 10% შემცირება	-	147,328	617,913	765,241
31 დეკემბერი 2018				
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	15,130	135,654	1,751	152,535
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,271,525	-	-	2,271,525
სულ ფინანსური აქტივები	2,286,655	135,654	1,751.00	2,424,060
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	-	-	8,044,280	8,044,280
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36,120	501,451	1,410,597	1,948,168
სულ ფინანსური ვალდებულებები	36,120	501,451	9,454,877.00	9,992,448
წმინდა პოზიცია	2,250,535	(365,797)	(9,453,126)	(7,568,388)
გავლენა მოგება-ზარალზე				
ვალუტის კურსის 10% ზრდა	-	(36,580)	(945,313)	(981,893)
ვალუტის კურსის 10% შემცირება	-	36,580	945,313	981,893

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფში ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება და სუბიექტი დადგება ფინანსური სირთულის წინაშე. ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით.

ხელმძღვანელობა ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს ახორციელებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2019	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,170,348	-	-	1,170,348
სავაჭრო მოთხოვნები	4,069,596	-	-	4,069,596
სულ ფინანსური აქტივები	5,239,944	-	-	5,239,944

შპს ლიბო გრუპი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართული ლარი)

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,781,123	-	-	2,781,123
მიღებული სესხები	3,116,660	2,243,723	-	5,360,383
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,897,783	2,243,723	-	8,141,506
სხვაობა	(657,839)	(2,243,723)	-	(2,901,562)
31 დეკემბერი 2018	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	249,193	-	-	249,193
სავაჭრო მოთხოვნები	2,286,361	-	-	2,286,361
სულ ფინანსური აქტივები	2,535,554	-	-	2,535,554
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,523,624	-	-	1,523,624
მიღებული სესხები	3,602,563	4,441,717	-	8,044,280
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,126,187	4,441,717	-	9,567,904
სხვაობა	(2,590,633)	(4,441,717)	-	(7,032,350)

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ქვემოთ მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და მათი შედეგები საანგარიშგებო პერიოდებისათვის:

	2019	2018
სატრანსპორტო მომსახურება	836,707	756,468
მიღებული მარაგები	-	81,104
სავაჭრო ვალდებულება	35,786	47,014
გაცემული ავანსი	6,031	-

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოადგენდა შესაბამისად 462,646 და 507,375 ლარს.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის ივლისში, ჯგუფმა, ქალაქ თბილისში, გურამიშვილი გამზ. 64დ-ში, 1 062 000 (ერთი მილიონ სამოცდაორი ათასი) აშშ დოლარად (ექვივალენტი ლარში) შეიძინა საინვესტიციო ქონება, კერძოდ, 2 827.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული 11 (თერთმეტი) ერთეული შენობა-ნაგებობით, შემდგომში იჯარით გაცემის მიზნით.

ზემოთ აღნიშნული ქონების შესაძენად, დაფინანსების წყაროდ, ჯგუფმა, 2020 წლის ივნისში, საქართველოს ბანკისგან მიიღო სესხი, 700 000 (შვიდასი ათასი) ევროს ოდენობით.

კორონა ვირუსის (COVID-19) სწრაფმა გავრცელებამ, რომელიც პანდემიად იქნა გამოცხადებული მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოიწვია მნიშვნელოვანი არამდგრადობა და გავლენას ახდენს გლობალურ ბიზნესსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე. იზრდება ალბათობა, რომ პანდემიისას განვითარებულმა მოვლენებმა და მისი შეკავების ღონისძიებებმა დიდი გავლენა იქონიოს ეკონომიკაზე და შესაძლოა გამოიწვიოს გლობალური რეცესია. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას და ინფექციის გავრცელების შესაძლო გავლენას ჯგუფის საქმიანობაზე. კერძოდ, ბიზნეს მოდელზე, მომსახურებისა და საქონლის მიწოდებაზე, მომხმარებლებსა და სამუშაო კაპიტალზე.



მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

შპს ლიბოგრუპი, დაფუძნებული 2007 წელს, წარმოადგენს FMCG ინდუსტრიის ერთ-ერთ ლიდერ გაყიდვებისა და დისტრიბუციის კომპანიას საქართველოში. კომპანია ემსახურება 8000-ზე მეტ ობიექტს სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე და ახდენს რეექსპორტს სომხეთში.

კომპანია საქართველოს ბაზარზე ოპერირებს 11 წლის მანძილზე. FMCG პროფილის პროდუქციის მარკეტინგი, გაყიდვები და შემდგომი დისტრიბუცია. ლიბოგრუპი ასევე ფლობს შვილობილ კომპანიას და არაპროფილურ აქტივებს.

შპს. ლიბოგრუპი თანამშრომლობს 9 მსხვილ მომწოდებელთან:

- ბელგიური საერთაშორისო კომპანია Ontex Global
- გერმანული საერთაშორისო კომპანია Henkel
- უკრაინული კომპანია Slobojanski Soap Boiler
- უკრაინული კომპანია Ergopack
- თურქული კომპანია Smile LTD
- ბერძნული კომპანია Sarantis
- რუსული კომპანია Fito Doctor
- ირანული კომპანია Pakshoo
- სომხური კომპანია Biocotton

მთავარი ბრენდებია:

OntexGlobal - ქანბეზე, ქანპედი, ჰელენჰარპერი. - გაყიდვების 66%

Ergopack - მელოჩი ჟიზნი, ერგოპაკ ნოვაქსი, აქცია - 12%

Slobojanski Soap Boiler - შიკი, უტიპუტი, პოშე, დრუგი, ოდა, სილა - 8%

Pakshoo - ავე - 7%

Smile LTD - ვოი - 3%

Fito Doctor - საბავშვო კრემი - 1%

Sarantis – კაროტენი - 1%

Biocotton - ბიოკოტონი - 1%

Henkel - მომენტი - 1%

ბიზნეს სტრატეგიის ანალიზი

ინდუსტრიების ანალიზი

შპს ლიბოგრუპ მოღვაწეობს გაყიდვების, მარკეტინგისა და სადისტრიბუციო ინდუსტრიაში და მისი სარეალიზაციო არხები აერთიანებს რამდენიმე მსხვილ ტიპს.

კომპანიის გასაღების ერთ-ერთი არხია საცალო შემსყიდველები, რომელიც მოიცავს როგორც კომპანიის მიერ დანერგილ ინოვაციურ ონლაინ შესყიდვების პროგრამას, ასევე მცირე და საშუალო მეწარმეებს.

კომპანიის გასაღების მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენენ კორპორატიული კლიენტები, როგორებიცაა ფარმაცევტული კომპანიები და მსხვილი სუპერმარკეტების ქსელები.

დღემდე კომპანიის გასაღების ერთ-ერთი მთავარი არხია საბითუმო ბაზრები მთელი საქართველოს მასშტაბით. ასევე კომპანია ახდენს პროდუქციის რეექსპორტს სომხეთის მიმართულებით, სადაც ხდება პარტნიორების მიერ პროდუქციის საცალო მოვაჭრეებამდე მიტანა.

კომპანია ასევე ფლობს არაპროფილურ აქტივებს, რომელიც ძირითადად უძრავ ქონებებს მოიცავს. 2019 წელს კომპანიამ ამ უძრავი ქონების ნაწილის ფასნამატიტ რეალიზაცია მოახდინა, რამაც კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე დადებითი გავლენა იქონია.

საცალო ინდუსტრიის ანალიზი:

კომპანიამ 2018 წლიდან დაწერა ინოვაციური პროდუქტი, ონლაინ შესყიდვების შესაძლებლობა პირდაპირ კომპანიის საწყობებიდან შუამავლების გარეშე. ამ ნაბიჯმა მრავალ მომხმარებელს შესაძლებლობა მისცა სახლიდან გაუსვლელად, შეღავათიან ფასებში მიეღო კომპანიის პროდუქციის ყველა სახეობა.

2019 წელს, კომპანიამ განახორციელა ახალი რიგი ინვესტიციები ონლაინ მაღაზიის მიმართულებით, რაც მოიცავდა პლატფორმის დახვეწასა და მიწოდების სერვისის გაუმჯობესებას, რამაც გამოიწვია გაყიდვების გაზრდა.

საცალო გაყიდვების არხის შემდეგ ტიპს წარმოადგენენ ისეთი წვრილი შემსყიდველები, როგორებიცაა ინდ. მეწარმეები და მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელები.

უნდა აღინიშნოს, რომ საცალო ინდუსტრია გაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია და ის მთლიანი გაყიდვების 15%-ს შეადგენს. ონლაინ გაყიდვები ინოვაციური პროდუქტია, რომელიც მაღალი ზრდის ტემპებით ხასიათდება, სხვა მცირე შემსყიდველები კი შედარებით ნაკლებად მზარდ ბაზარს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ გაყიდვების ინდუსტრია ხასიათდება დაბალი კონკურენციით, ეს სეგმენტი ნაკლებად ფრაგმენტულია, საფასო კონკურენციისგან თავის არიდება ხდება, თუმცა სამომავლოდ მსგავსი პროდუქტის სხვა ფორმების მიერ დამატების შემთხვევაში ეს პროცესი გამძაფრდება და ზრდის ტემპის შენარჩუნებისთვის კონკრეტული ნაბიჯები იქნება გადასადგმელი.

სხვა მცირე შემსყიდველების ბაზარი მეტად კონცენტრირებულია, კონკურენტი კომპანიები ცდილობენ გამუდმებულ ფასისმიერ კონკურენციას, რაც ამ ბაზარს ნაკლებად მიზმიდევლს ხდის. ასევე მცირე და საშუალო შემსყიდველების საერთო ბაზარი მცირდება ინსტიტუციონალური შემსყიდველების ბაზრის წილის ზრდის ხარჯზე.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ კონკურენცია არსებულ ფირმებს შორის არც თუ ისე მძაფრია პირდაპირი გაყიდვების შემთხვევაში. ონლაინ გაყიდვების ინდუსტრიის მზარდობა შესაძლებელს ხდის ეკონომიკური სარგებლის ნახვას მიუხედავად მცირე და საშუალო-ბიზნესის სეგმენტში არსებული კონკურენტული გარემოსი.

საბითუმო შემსყიდველები

კორპორაციული კლიენტები - ეს სეგმენტი ფირმის გაყიდვების დაახლოებით 80% შეადგენს. სეგმენტში გამოიყოფა 2 ჯგუფი, საბითუმო შემსყიდველი კორპორაციები - პსპ, ავერსი, კარფური გეფა, სამშობიაროები და სავადმყოფოები, სახელმწიფო შესყიდვები და ა.შ. - რომლებიც გაყიდვების 45% შეადგენს. მოცემული ჯგუფი მზარდი გაყიდვების ტემპით ხასიათდება. რაც კომპანიის სტაბილურობას ხელს უწყობს და აძლევს საშუალებას მოახდინოს დიფერენცირება, შედარებით მცირე საფასო კონკურენციის პირობებში, ვიდრე ეს ბაზრებშია.

მეორე ჯგუფია - საბითუმოდ მოვაჭრე ბაზრები, რომლებიც კლებადი ტრენდით ხასიათდება, ბაზრების შემთხვევაში კომპანიას უხდება სხვადასხვა პროდუქციის მიმართლებით აქტიური საფასო კონკურენცია შედარებით დაბალხარისხიან პროდუქციასთან. საბითუმო შემსყიდველების ინდუსტრიის სტრუქტურის ცვლილება და სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება კორპორაციული კლიენტებისა და სახელმწიფო შესყიდვებისთვის, კომპანიას სძენს მეტ სტაბილურობას, აძლევს დიფერენციაციისა და მზარდი ეკონომიკური მოგების მიღების შესაძლებლობას.

ექსპორტი სომხეთში

სომხეთის ბაზარი გამოირჩევა ნეკლები სტაბილურობით, მოცემული ბაზარი ფასის მიმართ სენსიტიურია, ლიბოგრუპი გეგმავს ინდივიდუალური საფასო პოლიტიკით მოცემული ბაზრის გასაღების არხების მეტ დატვირთვასა და ყოველწლიურ 10%- იან ზრდას.

საბოლოო ჯამში კომპანიის გაყიდვებს მზარდი ხასიათი აქვს, მასზე მოქმედი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამოსაყოფია ვალუტის კურსის არასტაბილურობა, რაც დადებული კონტრაქტების პირობებში კომპანიის მომგებიანობაში მცირე რყევებს იწვევს და მსყიდველობითუნარიანობის შემცირება, რაც არაპირველადი პროდუქციის გაყიდვებს ეხება. კომპანიის ძირითადი პროდუქციაა ონტექსის პროდუქციის ქვეშ გაერთიანებული ბრენდი ქანზბე, რომელსაც ბავშვის საფენების ბაზრის 25% უკავია. ონტექსის პროდუქცია კი კომპანიის გაყიდვების 66%- ს იკავებს.

ბრენგები

კომპანია ფლობს საწყობებს ბათუმში, ქუთაისში, გორში, თბილისსა და გურჯაანში, რითაც ხდება საქართველოს ტერიტორიის მოცვა. შპს. ლიბოგრუპი აერთიანებს 180 თანამშრომელზე მეტს, რომლიდანაც 50 პირდაპირი მიმწოდებელია, 24 ობიექტების პრომოუშენს ახდენს, 48 გაყიდვების აგენტია, დანარჩენი კი ადმინისტრაციაშია დასაქმებული.

კორპორატიული კლიენტები

ლიბოგრუპის ერთ-ერთი შედარებითი უპირატესობაა მასშტაბის ეკონომიურობა. ბაზარზე ახალ შემომსვლელს უწევს ძალიან დიდი მარკეტინგული დანახარჯების გაღება რათა მომგებიან გასაღების არხებს დაეუფლოს, ასევე გასათვალისწინებელია ის ინფორმაციული ბაზა, რომელიც მოსამხურებას უფრო ეფექტურს ხდის და ახალ მოთამაშეებს არ გააჩნიათ. ინდუსტრიაში მნიშვნელოვანია პირველი მოთამაშის უპირატესობა. პირველ რიგში, ინდუსტრიაში უკვე დამკვიდრებულია მომსახურებისა და პაკეტების სტანდარტი. მომხმარებელი მიჩვეულნი არიან მას.

კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,552,628	1,453,988
მიწა	5,821,377	7,774,323
საინვესტიციო ქონება	404,045	424,194
გუდვილი	2,064,484	2,064,484
არამატერიალური აქტივები	16,660	19,684
სულ გრძელვადიანი აქტივები	9,859,194	11,736,673
მიმდინარე აქტივები		
საგადასახადო აქტივი	34,593	-
გადახდილი ავანსები	481,780	298,691
მარაგები	4,093,254	3,782,286
სავაჭრო მოთხოვნები	4,069,596	2,286,361
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,170,348	249,193
სულ მიმდინარე აქტივები	9,849,571	6,616,531
სულ აქტივები	19,708,765	18,353,204
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება	11,563,638	8,502,873
სულ კაპიტალი	11,564,638	8,503,873
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხი	2,243,723	4,441,717
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2,243,723	4,441,717
მიმდინარე ვალდებულებები		
სესხის მიმდინარე ნაწილი	3,116,660	3,602,563
სავაჭრო ვალდებულებები	2,781,123	1,520,593
გადასახდელი ხელფასები	-	64,898
მიღებული ავანსები	2,621	3,031
საგადასახადო ვალდებულება	-	216,529
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5,900,404	5,407,614
სულ ვალდებულებები	8,144,127	9,849,331
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	19,708,765	18,353,204

კონკურენტული სტრატეგიის ანალიზი

ლიბოგრუპის მიერ შემოთავაზებულ პროდუქციის ტიპებში განსხვავებული კონკურენტული გარემოა. პორტფელში არსებული პროდუქტების ნაწილი ფასებით კონკურენციაშია, ნაწილი კი დიფერენციაციის სტრატეგიას მიმართავს.

საბავშვო საფენების სეგმენტი ფასისმიერი ლიდერობის მაგალითია. თუმცა აქაც ხდება დიფერენცირება და შემოთავაზებულია ქანბები პრემიუმში, რომელიც ბაზარზე უმაღლესი კლასის ევროპულ პროდუქტს სთავაზობს მომხმარებელს. მნიშვნელოვანი ეფექტიანი მიწოდების გზები, გამარტივებული პროდუქტების შეთავაზება. გვაქვს მიწოდების საკმაოდ ეფექტიანი და დაბალდანახარჯიანი გზები ონლაინ გაყიდვების შემთხვევაში, ზოგადად საბავშვო საფენებისა და ჰიგიენის პროდუქციის ბაზარი ნაკლებად ხდება კონცენტრირებული მსხვილი კორპორაციული შემსყიდველების წილის ზრდის

ხარჯზე და ლიბოგრუპის ფასისა და ხარისხის ერთობლიობა მისი წილის შენარჩუნებისა და გაზრდის გარანტია.

სადისტრიბუციო ინდუსტრიაში ლიბოგრუპი გამოირჩევა კონკურენტუნარიანობით, რაც გამოწვეულია მის მიერ საკუთარი სადისტრიბუციო ქსელისა და სასაწყობო აქტივების ფლობით, გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვით, საუკეთესო მარაგების მართვის სისტემების ფლობით და წლების განმავლობაში დაგროვილი უნიკალური გამოცდილებით. შესაბამისად, ხდება არსებული ბრენდების შეთავაზებების მუდმივი გაფართოება, ხოლო უკვე არსებული მიმწოდებლები მუდმივად ცდილობენ გრძელვადიან თანამშრომლებას.

კომპანია აქტიურად ცდილობს ახალი მომწოდებლების საქართველოს ბაზრისთვის შეთავაზებას, რითაც აღწევს ორგანული ზრდის სტაბილურ ტემპებს.

არსებული კონკურენტული უპირატესობების ფონზე, ასევე დაგეგმილი სასაწყობო სისტემის რეფორმის პირობებში სავარაუდოა, რომ ლიბოგრუპი შეძლებს გრძელ ვადაში სადისტრიბუციო ინდუსტრიის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად დარჩენასა და საკუთარი წილის სტაბილურ ზრდას.

კორპორაციული ანალიზი

სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია გეგმავს ერთის მხრივ ქსელებში საკუთარი წარმომადგენლობის მნიშვნელოვან ზრდას, მეორეს მხრივ კი ბაზრისთვის ახალი მომწოდებლების მოძიებას.

კომპანია გეგმავს საკუთარი შეთავაზებების გაზრდასა და არსებული ბრენდების საბაზრო წილის ზრდას. კორპორაციული შეყიდვების წილის ზრდის ხარჯზე და მსხვილ შემწყიდველებთან გაფორმებული კონტრაქტების მეშვეობით მოხდება საერთო გაყიდვების ტემპის ზრდა.

კორპორაციული სტრატეგიის განხილვისას მნიშვნელოვანია გავანალიზოთ თუ რამდენად ახერხებს კომპანია მერჯერებისა და შესყიდვების გზით დანახარჯების შემცირებას. სინერგიის ეფექტი მიიღწევა, როდესაც პორტფელში არსებული ორი ფირმა თანაარსებობს და საბაზრო პირობების ტრანზაქციაზე ნაკლებდანახარჯიანად იქმნება შედეგი. ამ შემთხვევაში შპს ლიბოგრუპის პორტფელი აერთიანებს კომპლემენტარულ ბრენდებს, რაც გაყიდვების სტაბილური ზრდის მნიშვნელოვან გარანტს იძლევა.

კორპორაციული სტრატეგიის შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ლიბოგრუპი საკუთარ პორტფელში თანადაკავშირებული ბრენდების გაერთიანებით აღწევს სინერგიის ეფექტს და ასევე არ კარგავს ძირითად საქმიანობაზე ფოკუსს.

საცალო გაყიდვების შემთხვევაში ცხადი, რომ ფასისმიერი ლიდერობისა და დიფერენცირების შერეული სტრატეგია უზრუნველყოფს მომგებიანობას და ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე ამ მომგებიანობის გრძელვადიანად გაგრძელება შესაძლებელია პირდაპირი გაყიდვების წილის გაზრდის შემთხვევაში, მიუხედავად მცირე და საშუალო შემწყიდველების წილის კლებისა.

საბითუმო მიმართულების ანალიზით ცხადი ხდება, რომ კომპანია მსხვილ ქსელებში შესვლით, საბითუმო შემსყიდველებთან კონტრაქტების დადების გზით ფარავს შემცურებულ საბაზრო გაყიდვებს და საერთო ჯამში ინარჩუნებს მზარდ ტემპებს.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს

იასონი

„ლიბოგრუპის“ შვილობილი კომპანია „იასონის“ მთავარ საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება.


დირექტორი

მარიამ დუდუჩავა

იასონი

„ლიბოგრუპის“ შვილობილი კომპანია „იასონის“ მთავარ საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება.

დირექტორი



მარიამ დუდუჩავა